

## მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა

### მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

### მუხლი 2. პროგრამის ამოცანა

მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

### მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლები

1. პროგრამის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირები.
2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

### მუხლი 4. პროგრამის კომპონენტები, მომსახურების მოცულობა და ბიუჯეტი

“საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა **13 531.2** ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის მიხედვით:

კომპონენტი	მომსახურების მოცულობა	ბიუჯეტი (ათას ლარებში)
დიაბეტით დაავადებულ მოზრდილ ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი	ინსულინისა და მისი ანალოგების შესყიდვა	<b>4 500.0</b>
დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი	ინსულინის, ინსულინის ანალოგების, გლუკაგონის, შპრიც-კალმისტრებისა და შესაბამისი ნემსების შესყიდვა ბავშვთა(18 წლამდე), ასევე 18 წელს გადაცილებული დიაბეტიანი პაციენტებისათვის, რომელთაც აღენიშნებათ მხედველობის დაქვეითება (ან არიან უსინათლოები), აქვთ თნდაყოლილი ცერებრალური დამბლა, უშაქრო დიაბეტი და	<b>626.0</b>

	ჩართული არიან ინტეგრაციის პროგრამაში	
ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი	ანტიჰემოფილური ფაქტორ კონცენტრატებისა და ანტინჰიპობიტორული პროთრომბინ-კომპლექსის შესყიდვა	<b>2 490.8</b>
ონკონკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი	ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტებისა და საშუალებების შესყიდვა; ნარკოტიკული საშუალების გაცემის დამადასტურებელი ცნობისა და რეცეპტის ფორმა N1-ის შესყიდვა.	<b>660.0</b>
ორგანოგადანერგელთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი	იმუნოსუპრესული მედიკამენტების შესყიდვა	<b>1 394.2</b>
	აღრიცხვაზე მყოფ პაციენტთა მონიტორინგი.	<b>20.0</b>
უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი	ადიურეზული ჰორმონის შესყიდვა	<b>270.0</b>
ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტი	ანტირაბიული ვაქცინისა და იმუნოგლობულინის შესყიდვა	<b>1 300.0</b>
ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო საკვები დანამატით უზრუნველყოფის კომპონენტი	სამკურნალო საკვები დანამატის შესყიდვა	<b>590.6</b>
მუკოვისციდოზით დაავადებულთა სპეციფიური მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი	პანკრეასის ფერმენტების შესყიდვა	<b>165.0</b>
სპეციალური სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის ხარჯები	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამკურნალო საშუალებების (მათ შორის საკვები დანამატების) განბაჟება, მიღება, შენახვა, ტრანსპორტირება, გაცემა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებზე (მათ შორის აფთიაქები);</li> <li>• სამკურნალო საშუალებების (მათ შორის საკვები დანამატები) ავადმყოფებზე გაცემა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მეშვეობით (მათ შორის</li> </ul>	<b>714.6</b>

	აფთიაქების);  • ნარკოტიკული საშუალებების ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ ერთეულებში ტრანსპორტირება ბადრაგირების მეშვეობით.	
ნარკომანიით დაავადებულთა ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფის კომპონენტი	ჩამანაცვლებელი ნარკოტიკის შესყიდვა	<b>800.0</b>
სულ		<b>13 531.2</b>

### მუხლი 5. მომსახურების შესყიდვა და განხორციელების მექანიზმები

1. შესყიდვა ხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. მოსარგებლებისათვის მედიკამენტების და საკვები დანამატის მიწოდება ხორციელდება პოლისების საშუალებით

ა) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო", შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ადმინისტრაციულ ასიგნებათა ფარგლებში, უზრუნველყოფს აღრიცხვაზე მყოფი პაციენტებისათვის ინდივიდუალური პოლისების ბეჭდვასა და დარიგებას;

ბ) პოლისის ფორმას, ხელშეკრულებებისა და სატენდერო პირობებს განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო" და ინფორმაციის სახით წარუდგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.გ) მოსარგებლეთა აღრიცხვაზე აყვანა და პოლისების დარიგება ხორციელდება თანდართული წესის შესაბამისად. (დანართი NN9-1)

დანართი N N9-1

### მოსარგებლეთა აღიხვავაზე აყვანის, პოლისის შევსებისა და გაცემის წესი

1. "მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის" მოსარგებლეთა აღრიცხვაზე აყვანა ხორციელდება შემდეგი კომპონენტების ფარგლებში:

ა) დიაბეტით დაავადებულ მოზრდილ ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;

- ბ) დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
- გ) ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
- დ) ორგანოგადანერგვითა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
- ე) უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
- ვ) ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო საკვები დანამატით უზრუნველყოფის კომპონენტი;
- ზ) მუკოვისციდოზით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი.

2. აღრიცხვაზე აყვანისათვის პაციენტმა ან მისმა ნდობით აღჭურვილმა პირმა (ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტის საფუძველზე) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჭვეუწყებო დაწესებულება - ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოში უნდა წარადგინოს:

ა) შესაბამისი მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა NIV-100/ა, რომელშიც დადასტურებული იქნება შესაბამისი დიაგნოზი;

ბ) პირადობის/ბინადრობის მოწმობის დედანი და ასლი;

გ) ბავშვების აღიცხვისას, ბავშვის დაბადების მოწმობის დედანი და ასლი (ასევე აუცილებელია ბავშვის მშობლის ან მეურვის პირადობის მოწმობის დედანი და ასლი, მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი/ასლი).

დ) 2 ფოტოსურათი

3. პოლისი მოწმდება სააგენტოს ბეჭდით.

4. პოლისის ერთი ნაწილი გადაეცემა პაციენტს, ხოლო მეორე იდენტური ნაწილი რჩება სააგენტოში.

5. პოლისის მფლობელი უფლებამოსილია მიიღოს კუთვნილი სპეციფიკური მედიკამენტები და საკვები დანამატი სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელ შესაბამის დაწესებულებებში.

6. ჰემოფილით დაავადებულთა პოლისის მფლობელი დამატებით უფლებამოსილია, მიიღოს კუთვნილი დახმარება "ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის" (დანართი N8) ფარგლებში.

7. შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა პოლისის მფლობელი დამატებით უფლებამოსილია, მიიღოს კუთვნილი დახმარება "პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის" (დანართი N1), "სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარების კომპონენტის", "შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა ამბულატორიული პატრონაჟის ქვეკომპონენტის" ფარგლებში.